ჩემი 5 მომენტი ხელის ჰიგიენისთვის

ფოკუსირება ცენტრალური ვენური კათეტერის მქონე პაციენტის მოვლაზე

დაუყოვნებლივ კათეტერისა და მასთან დაკავშირებული ინტრავენური მედიკამენტების შეყვანის სისტემასთან დაკავშირებული ნებისმიერი მანიპულაციის დაწყებამდე. როგორიცაა:

2ა. კათეტერის ჩადგმა ან ამოღება (სტერილური ხელთათმანების ჩაცმამდე), სახვევის შეცვლა, სისხლის აღება ან ამ პროცედურებისთვის შესაბამისი აღჭურვილობის მომზადებამდე
2ბ. ადმინისტრირების ადგილის გახსნამდე და საინფუზიო სისტემის მიერთებამდე
2გ. მედიკამენტების მომზადება კათეტერში შეყვანისთვის



დაუყოვნებლივ ნებისმიერი დავალების **შემდეგ**, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს ბიოლოგიური სითხის ექსპოზიციას როგორიცაა:

3ა. კათეტერის ჩასმა ან მოხსნა
3ბ. კათეტერიდან სისხლის ამოღება

ძირითადი დამატებითი მოსაზრებები ცენტრალური ინტრავენური კათეტერებისთვის

1. **ჩვენება:** დარწმუნდით, რომ მოთხოვნილია ცენტრალური ვენური კათეტერი. ამოიღეთ კათეტერი, როდესაც აღარ არის საჭირო/ არ არის კლინიკური ჩვენება.
2. **ჩადგმა/მოვლა/ამოღება**

2.1. მოერიდეთ კათეტერების ჩასმას ბარძაყის ვენაში.
2.2. კათეტერის ჩასმამდე მოამზადეთ კანი, გაასუფთავეთ ანტისეპტიკით (სასურველია ალკოჰოლზე დაფუძნებული 2% ქლორექსიდინ-გლუკონატი).
2.3. კათეტერის შეყვანისას გამოიყენეთ სტერილური საგნები ბარიერული სიფრთხილის ზომებისთვის (ქუდი, ქირურგიული ნიღაბი, სტერილური ხელთათმანები, სტერილური ხალათი, დიდი სტერილური საფენი).
2.4. შეცვალეთ დოლბანდის ტიპის სახვევი ყოველ 2 დღეში და გამჭვირვალე სახვევები ყოველ 7 დღეში; შეცვალეთ სახვევები, როდესაც შეამჩნევთ დაბინძურებას.
2.5. შეცვალეთ მილაკი, რომელიც გამოიყენება სისხლის, სისხლის პროდუქტების, ქიმიოთერაპიის და ცხიმოვანი ემულსიების შესაყვანად ინფუზიის დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში. დაგეგმეთ ყველა სხვა მილის შეცვლა ყოველ 96 საათში.
2.6. გამოიყენეთ ასეპტიკური პროცედურა (შეხების გარეშე) კათეტერთან დაკავშირებული ყველა მანიპულაციისთვის.
2.7. „გაასუფთავეთ კერა“ ალკოჰოლზე დაფუძნებული ქლორექსიდინ-გლუკონატით მინიმუმ 15 წამის განმავლობაში.

3. **მონიტორინგი:** ჩაწერეთ კათეტერის ჩადგმის ამოღების და სახვევის შეცვლის თარიღი და დრო, ასევე კათეტერის ადგილის მდგომარეობა (ვიზუალური შეგფასებით) ყოველდღე.

World Health Organization
European Region

დაიცავი ხელის ჰიგიენა გადაარჩინე სიცოცხლე!

სუფთა გარემო განაპირობებს უსაფრთხო მოვლას!
2005-2022

© World Health Organization 2022. ყველა უფლება დაცულია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებულია ყველა გონივრული სიფრთხილის ზომა ამ ჰოსტერში მოცემული ინფორმაციის გადამოწმებისთვის. თუმცა, გამოქვეყნებული მასალა ვრცელდება რაიმე სახის, გამოხატული თუ ნაგულისხმევი, გარანტიის გარეშე, მოცემული მასალის ინტერპრეტაციასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მკითხველს. არცერთ შემთხვევაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ იქნება პასუხისმგებელი მისი გამოყენების შედეგად წარმოქმნილ ზარალზე. ჯანმო აღიარებს ამ მასალის შემუშავებაში ინფექციების კონტროლის პროგრამის, ჟენევის საავადმყოფოების უნივერსიტეტისა და მედიცინის ფაკულტეტის, (ჟენევა, შვეიცარია) აქტიურ მონაწილეობას.